

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 108

ქალაქი ქუთაისი 23 იანვარი 2015 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საკუთრებაში არსებული ავტომანქანა „მერსედეს-ბენცი“ C-180 /სახელმწიფო ნომერი XOX-474/-ის, ააიპ „ქალაქ ქუთაისის მერიის მ.ქორქიასა და ზ.საკანდელიძის სახელობის სპორტის სასახლისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, თხოვების ფორმით, დროებით სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.გ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 122-ე მუხლის მე-6 პუნქტის, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 9 იანვრის №65 დადგენილების დანართის მე-15 მუხლის მე-5 პუნქტისა და ააიპ „ქალაქ ქუთაისის მერიის მ.ქორქიასა და ზ.საკანდელიძის სახელობის სპორტის სასახლის“ დირექტორის 2014 წლის 17 ნოემბრის №104 მომართვის საფუძველზე:

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერს, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საკუთრებაში არსებული ავტომანქანა „მერსედეს-ბენცი“ C-180 /სახელმწიფო ნომერი XOX-474/-ის, ააიპ „ქალაქ ქუთაისის მერიის მ.ქორქიასა და ზ.საკანდელიძის სახელობის სპორტის სასახლისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, თხოვების ფორმით, დროებით სარგებლობაში გადაცემის თაობაზე.

მუხლი 2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერმა, უზრუნველყოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად დოკუმენტაციის გაფორმება.

მუხლი 3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ.

მუხლი 4. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

მუხლი 5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვ.კუპრადის ქუჩა №11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

საკრებულოს თავმჯდომარე

დავით დვალი